

| | |
|---|--|
| <p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p> | <p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35. ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p> |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება მედიცინა</p> | <p>სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დიპლომირებული მედიკოსი</p> |
| <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p> | <p>დიპლომირებული მედიკოსი</p> |
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p> | <p>პროგრამის ხანგრძლივობა - 6 წელია, მოცულობა - 360 კრედიტი, საიდანაც წლის მანძილზე სტუდენტს შეუძლია აითვისოს მაქსიმალური 75 კრედიტი. მოიცავს 12 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს.</p> |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p> | <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალიზმსა და აკადემიზმზე ორიენტირებული, საფუძვლიანი თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების მატარებელი დიპლომირებული მედიკოსი. პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, მოიცავს როგორც ტრანს-დისციპლინური მოდულებს, ასევე ცალკეულ სასწავლო კურსებს; ორიენტირებულია კლინიკური კომპეტენციების, ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე; სამედიცინო რესურსების ეფექტურ მართვაში დახელოვნებაზე. სტუდენტი პირველივე წლიდან პრობლემასა და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით იღებს საბაზისო ცოდნას, ერთვება კვლევით საქმიანობაში, რაც გამორიცხავს ცოდნის ფრაგმენტაციას და საბოლოოდ მომავალ ექიმს გამოუმუშავებს დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების უნარს. სწავლების ენა - ინგლისურია.</p> |
| <p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p> | <p>ზოგადი კომპეტენციები: დიპლომირებულ მედიკოსს ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, შეეძლება: გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: კურსდამთავრებულს ექნება ფუნდამენტური, ქცევითი, სოციალური და კლინიკური საგნების, წამლების ძირითადი ჯგუფების, პათოლოგიური მდგომარეობისა და დაავადებების შესაბამისად მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა; შეეძლება: პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა,</p> |

| | |
|-------------------------------|---|
| | <p>კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა, სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება,</p> |
| <p>შეფასების წესი</p> | <p>საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით.</p> <p>საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>ECTS-ის შეფასება ქულა</p> <p>A – ფრიადი 91-100 B – ძალიან კარგი 81-90 C – კარგი 71-80 D– დამაკმაყოფილებელი 61-70 E – საკმარისი 51-60 FX – ვერ ჩააბარა 41-50 F – ჩაიჭრა</p> |
| <p>საკონტაქტო პირი</p> | <p>ასისტენტ პროფესორი სოფიო ბერიძე ტელ: (+99593) 30 01 70 Email: sophio.beridze@hotmail.com</p> |